

საქართველოს კანონი

„სარეგისტრაციო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე“

მუხლი 1. „სარეგისტრაციო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №9, 26.04.2002, მუხ. 43) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება და დამატება:

1. მე-7 მუხლის მე-5 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ო“ და „პ“ ქვეპუნქტები:

„ო) ვეტერინარული დანიშნულების პრეპარატის რეგისტრაცია – 1000 ლარი;

პ) ვეტერინარული დანიშნულების პრეპარატის ხელახალი რეგისტრაცია – 700 ლარი.“

2. ამოღებულ იქნეს მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის „პ“ და „ჟ“ ქვეპუნქტები.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 90-ე დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი